ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 113

“3” ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ისნის რაიონში, თამაზ მუჯირიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გიორგი აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, თამაზ მუჯირიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ექიმის, გიორგი აბრამიშვილის, სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_485384.9598
Y_ 4617195.7862
ვიოლეტა ბურნაძის ქუჩა
X_485220.773
Y_ 4616990.9723